მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლი „გელათის მონასტერი“ კონსერვაცია-რეაბილიტაციის საკითხები მსოფლიო მემკვიდრეობის კონტექსტში

კონტექსტი:

გელათის მონასტერი, ქართული ხუროთმოძღვრების გამორჩეული საგანძური, ბაგრატის საკათედრო ტაძართან ერთად და ერთიანი ნომინაციის ფორმატით, მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში ჯერ კიდევ 1994 წელს შევიდა. თუმცა, სახელმწიფოს მიერ, 2008 წელს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტთან და მის მრჩეველ ორგანოებთან შეთანხმების გარეშე ბაგრატის სრული სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყების შედეგად, 2010 წელს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 34-ე სესიამ მიიღო სამწუხარო გადაწყვეტილება (34 COM 7B.88) შეეტანა ბაგრატის საკათედრო ტაძარი და გელათის მონასტერი მსოფლიო მემკვიდრეობის საფრთხის ქვეშ მყოფ ძეგლთა ნუსხაში. სამწუხაროდ, მიუხედავად მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის მიერ მიღებული გამაფრთხილებელი გადაწყვეტილებისა, ბაგრატის ტაძარზე სახელმწიფოს მიერ მაინც გაგრძელდა სარეკონსტრუქციო სამუშაოები, რამაც, ბაგრატის საკათედრო ტაძარი და მასთან ერთად გელათის მონასტერი 2012 წელს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხიდან ამოღების გარდაუვალი რეალობის წინაშე დააყენა.

გელათის მსოფლიო მემკვიდრეობის გამორჩეული ღირებულებების გადასარჩენად, იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტსა და მის მრჩეველ ორგანოებთან ინტენსიური და ნაყოფიერი კომუნიკაციის ფონზე გაერთიანდა ყველა მხარის, სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორის, კვლევითი და საგანმანათლებლო ინსტიტუციების, საქართველოს საპატრიარქოსა და საერთაშორისო საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევა, რათა მას თავისი კუთვნილი ადგილი დაებრუნებინა მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში.

- 2014 წელს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 9 იანვრის ბრძანებით დამტკიცდა გელათის მონასტრის გაფართოებული ბუფერული ზონა;
- 2013-2015 წწ მომზადდა მისი მართვის გეგმა, და სანომინაციო დოსიე;

გელათის საკონსერვაციო-სარეაბილიტაციო, ასევე მისი ინფრასტრუქტურის მოწესრიგების პროექტების განხორციელება 2008 წელს შემუშავებული და 2015 წელს განახლებული კონსერვაციის გენერალური გეგმის მიხედვით წარმოებდა (2015 წელს, გელათის მონასტრის კონსერვაციისა და განვითარების ახალი საჭიროებების გათვალისწინებითა და კომპლექსური მულტიდისციპლინარული კვლევების საფუძველზე განახლდა მისი კონსერვაციის გენერალური გეგმა, რითაც განისაზღვრა მოკლე და გრძელვადიანი ქმედებების თანამიმდევრულობა).

1994 წელი:

გადაწყვეტილება: CONF 003 XI

კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება ბაგრატის კათედრალისა და გელათის მონასტრის მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში მიღებასთან დაკავშირებით.

*გადაწყვეტილების წინაპირობას, წარდგენილ ნომინაციასთან ერთად წარმოადგენდა იკომოსის მისიის ანგარიში, რომლითაც შეფასებულ იქნა ნუსხაში შესატანად წარდგენილი ძეგლები, მათ შორის, გელათის მონასტერსაც ცალკე ეთმობა ადგილი. აღნიშნულ ანგარიშში მითითებულია (გვ. 16), რომ **„...ამ ეტაპისათვის შემდგომი გადაუდებელი ქმედებები არ არის საჭირო, თუმცა არსებული გადახურვები დროებითად უნდა იქნეს მიჩნეული. საკმარისი მონაცემებია გადახურვის ორიგინალი ფორმის [აღსადგენად] როდესაც რესტავრაციის დრო იქნება...“***

2004 წელი:

გადაწყვეტილება 28 COM 15B.87

პუნქტი 3. მწუხარებით აღნიშნავს საკონსერვაციო პრობლემებს, რომელიც ზეგავლენას ახდენს ძეგლზე, და მოუწოდებს სახელმწიფო მხარეს საპასუხო აქტივობისაკენ მისიის რეკომენდაციების გათვალისწინებით;

2003 წელი:

გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო ბაგრატის ტაძრისა და გელათის მონასტრის მდგომარეობის შეფასება, რომელიც განხორციელდა 2003 წელს მცხეთის ისტორიულ ძეგლებზე განხორციელებული UNESCO WHC-ICOMOS-ის ერთობლივი რეაქტიული მონიტორინგის მისიის ფარგლებში. მისიამ დაადასტურა, რომ გელათის მონასტრის შენობების ექსტერიერი კარგ მდგომარეობაშია და ამასთანა აღნიშნულ იქნა სარკმლების კონსერვაციის საჭიროება, რათა თავიდან ყოფილიყო ქარისა და წვიმის ზემოქმედების არიდება, რამაც უკვე დააზიანა კედლის მხატვრობა, განსაკუთრებით კი სამხრეთი კედელი.

2008 წელი

გადაწყვეტილება: 32 COM 7B.91

პუნქტი 3. მკაცრად მოუწოდებს სახელმწიფო მხარეს დაუყოვნებლივ გაატაროს პრევენციული საკონსერვაციო სამუშაოები ბაგრატის კათედრალსა და გელათის კომპლექსზე, ასევე მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრსა და მრჩეველ ორგანოებთან კოორდინაციით შეიმუშავოს კედლის მხატვრობისა და მოზაიკების გრძელვადიანი საკონსერვაციო პროგრამა საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობითა და თანამშრომლობით;

გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო 2008 წელს განხორციელებული UNESCO WHC-ICOMOS-ის ერთობლივი რეაქტიული მონიტორინგის მისიის ანგარიში. ანგარიშში გელათის მონასტრის საკონსერვაციო მდგომარეობასთან მიმართებით მითითებულია რომ ***„...დაფიქსირდა გადახურვებისა და ქვის ელემენტების დაზიანებები და ტენიანობის აკუმულირება ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, და დაადგინეს რომ ტაძრის ექსტერიერს ესაჭიროება გადაუდებელი საკონსერვაციო/სარესტავრაციო სამუშაოები. კულტურის სამინისტრომ დაადასტურა, რომ არქიტექტურული სტრუქტურის საკონსერვაციო პროექტის [შემუშავების] მიზნით კონკურსი უკვე ჩატარებულია. მისიამ ხაზი გაუსვა რომ აუცილებელია სახელმწიფომ საპროექტო წინადადება განსახილველად წარუდგინოს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრსა და მრჩეველ ორგანოებს...“***

შედეგად, 2008 წელს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დაკვეთით ა(ა)იპ საქართველოს მემკვიდრეობამ ჩაატარა შესაბამისი კვლევები და შეიმუშავა გელათის სამონასტრო კომპლექსში შემავალი ნაგებობების სარესტავრაციო/სარეაბილიტაციო პროექტები, რაც 2008 წლის 27 ოქტომბერს განხილულ იქნა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წინარე ქრისტიანული და შუა საუკუნეების კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვის საბჭოს მიერ და დადებითად იქნა შეფასებული.

<u>2010 წელი:</u>

2010 წელს, ბაგრატის საკათედრო ტაძრისა და გელათის მონასტრის საკონსერვაციო მდგომარეობის შესაფასებლად მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის, იკომოსის და იკრომის რეაქტიული მისია განხორციელდა, რომლის ანგარიშის მიხედვით:

„დადებით ღონისძიებებად იქნა მიჩნეული:

- *მისიისათვის განსახილველად <u>წარდგენილი კონსერვაციის გენერალური გეგმა ადეკვატურად პასუხობს სამონასტრო კომპლექსის სამომავლო საჭიროებებსა და დამთვალიერებლებთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებს.</u> ამასთან, მონასტერი კარგადაა ორგანიზებული იმის გათვალისწინებით, რომ იგი ცოცხალი და მოქმედი ძეგლია. გათვალისწინებულია რიგი ღონისძიებების განხორციელება ბერთა საძმოს გაზრდის შემთხვევაში – მათთვის გათვალისწინებულია სადგომ-სენაკების მშენებლობა მონასტრის გარეთ, მის ახლოს.*
- *გენერალურ გეგმაში კარგადაა გამიჯნულ ბერების სამონასტრო ცხოვრება და მათი ადგილ- სამყოფელი დამთვალიერებლების ნაკადებისაგან, რაც უმთავრესად დამთვალიერებლებისათვის განკუთვნილი ახალი შენობა-ნაგებობების ხარჯზე მოხდება, რომლებიც მონასტრის ტერიტორიის გარეთ უნდა აიგოს.*
- *გელათის აკადემიის შენობა მაღალ დონეზეა აღდგენილ-რესტავრირებული, თუმცა კონსერვაციის გენერალური გეგმიდან გამომდინარე მისისათვის ბოლომდე გარკვეული არ არის ამ შენობის სამომავლო დანიშნულება;*
- *აკადემიის შენობის ირგვლივ და მის შიგნით არქეოლოგიური გათხრები უკვე ჩატარებულია, რომელთა შედეგად მრავალი საინტერესო მასალა იქნა მოპოვებული, რამაც აკადემიის შუასაუკუნეების პერიოდის მრავალ საინტერესო*

საკითხი გამოამზეურა. გათხრების შედეგად აღმოჩენილი მასალა და ნივთები წარმატებით იქნა გამოყენებული შენობის რესტავრაციის დროს.“

ამავე დოკუმენტში, კონსერვაციის მიმდინარე საკითხების ბლოკში, ექსპერტები აღნიშნავენ ღვთისმშობლის ეკლესიაში არსებული ნესტის პრობლემას:

„ა. ღვთისმშობლის სახელობის მთავარი ეკლესია – ექსტერიერი

- *მონასტრის ძირითადი პრობლემა სინესტეა, რაც დაზიანებული სახურავიდან, საწვიმარი მილებიდან, ფანჯრის ბუდეებიდან, სადრენაჟე მილებიდან შენობაში წყლის შეღწევის გამოა რაც საგრძნობლად ანესტიანებს მას. სამშენებლო ქვა სერიოზული სტრუქტურული პრობლემების წინაშეა და ნაწილობრივი რეკონსტრუქცია სჭირდება, განსაკუთრებით გუმბათსა და ტაძრის ჩრდილოეთ ნაწილს. სახეზეა ისეთი მოვლენები, როგორიცაა აქერცვლა, კოროზია, ნაპრალები, ქვების ჩამოცვენა, ღია ნაკერები და გადაბმები და სხვ. ზოგიერთ შემთხვევაში ვხვდებით დაზიანებების იმპროვიზირებული აღმოფხვრის მცდელობებს საამშენებლო ცემენტის საშუალებით.*
- *საბჭოთა წყობილების დროს გელათის მონასტრის ეკლესიები მოთუთიებული თუნუქით იყო გადახურული, რომლებიც კარნიზებზე რკინის სამაგრებით იყო მიმაგრებული. მართალია, ასეთი გადახურვა გარკვეულწილად ამართლებს, ვინაიდან არსებული ნაპრალებიდან და თავდაპირველი ქვის კრამიტებიანი სახურავის გატეხილი ადგილებიდან წვიმის წყლის ჟონვა შემცირებულია, სხვა მხრივ თუნუქის გადახურვა არადამაკმაყოფილებელია. კერძოდ:*
    - *ასეთი მასალა არ არის ავთენტური*
    - *თუთიის ფენის ქვეშ არსებული ნებისმიერი სინოტივე ან სითხე ველარ ორთქლდება.*

წყალი შესაძლოა სხვა დაზიანებული ნაწილებიდანაც შევიდეს ან სულაც კონდენსირების შედეგად გაჩნდეს. ამას გარდა, ასეთი გადახურვა ესთეტიკურადაც არადამაკმაყოფილებელია.

ძლიერი ქარების დროს ლითონის ქვეშ შესაძლოა დიდი წნევა წარმოიშვას ან ლითონის ფურცლოვანი გადახურვა გადახადოს. ამ მოსალოდნელი რისკის შესარბილებლად ლითონის სახურავი კარნიზის ქვებზე რკინის სამაგრებით და სალტეებითაა მიმაგრებული. ამის გამო დაწოლა ქვებზეც მოდის რაც ნათ მრავალრიცხოვან დაზიანებას იწვევს.

ბ. ღვთისმშობლის სახელობის მთავარი ეკლესია – ინტერიერში კედლის მხატვრობის დაცულობა საგანგაშოა!!!

დაზიანებების ძირითადი ნაწილი ზედა რეგისტრებზე მოდის – გუმბათსა და თაღებზე, თუმცა კედლების ვერტიკალური სიბრტყეების მხატვრობაც საკმაოდ დაზიანებულია.

- *საკონსერვაციო ზომების გაუტარებლობა, ფერის დაკარგვა- გამოხუნება, დაფერილი ზედაპირების ჩამოშლის შემთხვევაში (ზოგიერთ ადგილას ასეთი ჩამოშლილი ადგილები სამშენებლო ცემენტითაა ამოვსებული) ქვედა სიღრმისეული ფენების გაუმაგრებლობა. მკვეთრი განსხვავება კედლის მხატვრობის დაუზიანებელ მონაკვეთებსა და დაზიანებულ ნაწილებს შორის, როდესაც პირველ შემთხვევაში ფერები იმდენად მკაფიოა, რომ ნახატი სულ ახლახან შექმნილსა ჰგავს, ხოლო უკანასკნელში- სინესტისაგან დაზიანებული მხატვრობა თითქმის მთლიანადაა გამქრალი ან ქრება, ადასტურებს, რომ კარგა ხანია, რაც იგი უმეთვალყურეოდაა დატოვებული და რომ კედლის მხატვრობის*

საქართველოს
მემკვიდრეობის დაცვის
ეროვნული საგანძურ
NATIONAL TREASURY OF
CULTURAL HERITAGE
PRESERVATION OF GEORGIA

დაცვა- კონსერვაციაზე არავის უზრუნია. არის მონაკვეთები, სადაც ბათქაში მთლად ჩამოცვენილია და სამშენებლო ქვა გაშიშვლებულია(მაგ. ჯვრის სამხრეთი მკლავის კედელში დატანილი სარკმელის შიდა ნაწილები). ჯვრის ჩრდილოეთი და სამხრეთი მკლავების კედლის მხატვრობას ადრე შემოსული წვიმის კვალი ეტყობა, რაც ალბათ ჩატეხილი ფანჯრის მინებიდან შემოდიოდა.

- *საკურთხევლის აფსიდის მეოთხედ სფერული ფორმის ზედაპირი. აქ, ზედა რეგისტრებში 1130 წლის მოზაიკის ზედა ჩამუქებულ ნაწილებს ეტყობა, რომ დიდი ხანია ისინი არავის გაუწმენდია. ქვედა რეგისტრების კედლის მხატვრობის კონსერვაციის დონე სავალალოა.*

წყლის შეღწევის მინიმუმამდე შემცირება უპირველესი პრიორიტეტია, რისთვისაც აუცილებელია გადახურვის მოგვარება და სარკმელების აღდგენა;

გ. ღვთისმშობლის მთავარი ტაძარი – ზედა სართული (საქალებო პატრონიკე)

- *თაღოვანი გადახურვის და მისი საბოლოო იერსახის საკითხი და მისი იატაკის ქვის ნაწილის დაცვა აქ საკმაოდ პრობლემატური ჩანს.*

დ. მონასტრის ტერიტორიაზე მდგარი სამრეკლოს სარესტავრაციო სამუშაოები სანახევროდაა დასრულებული;

ე. წმ. გიორგის ეკლესია

მსგავსი პრობლემები გვხვდება წმ. გიორგის ეკლესიაშიც, თუმცა აღსანიშნავია, რომ აქ ამ შემთხვევაში მე-16 საუკუნის კედლის მხატვრობის დაცულობა უარესია მთავარ ტაძართან შედარებით და ამდენად, სასწრაფო ჩარევა ბევრად უფრო საშურია. სამწუხაროდ კედლის მხატვრობის დაზიანებული ადგილების სამშენებლო ცემენტით ამოვსების შემთხვევები სულ უფრო იზრდება. ბათქაშის 60 პროცენტზე მეტი კედელს მოცილებულია და კედლის მხატვრობის საკმაოდ დიდი მონაკვეთები ამ დროისათვის სამუდამოდ დაკარგულია. არის რამდენიმე ადგილი, სადაც კედლის მხატვრობას შეუმცდარად ეტყობა წარსულში წვიმის წყლის ხანგრძლივი ზემოქმედების კვალი. სვეტების ქვაზე და კედლის მხატვრობაზე ახლად დაწერილი ხატებია მოთავსებული რომლებიც ლურსმანზეა ჩამოკიდებული. ხის ჩარჩოებიც კი ლურსმნებითაა მიმაგრებული საკურთხევლის ორიგინალურ ბოძებზე. მუდმივად მზარდმა ტენიანობამ უკვე მნიშვნელოვნად დააზიანა მოხატული კედლების ქვედა რეგისტრები. ნართექსის კამარის მთელი ზედაპირი სამშენებლო ცემენტის ფენითაა დაფარული , რაც სრულიად მიუღებელია.“

2011 წელი:

გადაწყვეტილება 35 COM 7A.29

პუნქტი 3. მიესალმება სამუშაოების შეჩერებას ბაგრატის კათედრალზე, ისევე როგორც გელათის მონასტრის კონსერვაციის გენერალური გეგმისა და რეაბილიტაციის პროგრამის შესრულების პროგრესს;

*მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრისა და მრჩეველი ორგანოების მიერ მომზადებულ დოკუმენტში, რომელიც გადაწყვეტილების კონტექსტს წარმოადგენს, ძირითადად ეთმობა ბაგრატის კათედრალთან დაკავშირებულ საკითხებს, თუმცა მასში ასევე მითითებულია რომ „... **მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრი და მრჩეველი ორგანოები აღნიშნავენ პროგრესს გელათის მონასტრის კონსერვაციის გენერალური გეგმისა და რეაბილიტაციის პროგრამის იმპლემენტაციაში, რომელიც დადასტურებული [შეთანხმებული] იქნა 2010 წლის რეაქტიული მონიტორინგის მისიის მიერ...“***

2012 წელი:

2012 წელს კომიტეტის მიერ გადაიდო ბაგრატის კათედრალისა და გელათის მონასტრის საკითხის განხილვა.

2012 წელს, ბაგრატის საკათედრო ტაძრისა და გელათის მონასტრის საკონსერვაციო მდგომარეობის შესაფასებლად მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის, იკომოსის და იკრომის რეაქტიული მისია განხორციელდა, რომლის ანგარიშის მიხედვით:

„მისიამ შეაფასა გელათის საკონსერვაციო გენერალური გეგმის შესაბამისად მიმდინარე სამუშაოები და ასევე სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ინსტიტუციონალური კოორდინირების სისტემა ყველა დაინტერესებული მხარის პროცესში ჩართულობისათვის.“

„მიმდინარე საკონსერვაციო საკითხები:
2012 წლის მისიამ აღნიშნა რომ მნიშვნელოვანი პროგრესი აქვს სახელმწიფო მხარეს მიღწეული მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის ამ კომპონენტთან მიმართებაში (გვ.7), ასევე აღნიშნა ის კონკრეტული პროექტები რომელიც ამ გეგმის ფარგლებში უკვე იქნა განხორციელებული

- *წმინდა მარინეს ეკვდერში არსებული კედლის მხატვრობის მდგომარეობის კვლევა*
- *წმინდა გიორგის ქვის მდგომარეობის შეფასება და რისკ მეფინგი*
- *წმინდა გიორგის ეკლესიის შესასვლელის კარის ზედა ორნამენტირებული ქვის კონსერვაცია.*

მისიამ აღნიშნა რომ შემდეგ ეტაპზე ეროვნული სააგენტოს ხელშეწყობით ეს სამუშაოები კედლის მხატვრობასა და ქვის კონსერვაციის მიმართულებით გაგრძელდება საერთაშორისო ექსპერტების და მათი ქართველი სტუდენტების ერთობით.“

<u>2013 წელი:</u>

გადაწყვეტილება: 37 COM 7A.32

პუნქტი 3. მიესალმება გელათის მონასტრის საკონსერვაციო პროგრამის განხორციელების პროგრესს და მოუწოდებს სახელმწიფო მხარეს განაგრძოს შესაბამისი საკონსერვაციო ღონისძიებების გატარება გელათის მონასტერთან მიმართებით, მათ შორის შეიმუშაოს მართვის გეგმა;

პუნქტი 4. გამოხატავს ღრმა მწუხარებას იმასთან დაკავშირებით, რომ მიუხედავად წინა გადაწყვეტილებებისა ბაგრატის კათედრალის ხელახალი მშენებლობა დასრულდა და მიიჩნევს, რომ ბაგრატის კათედრალი დიდწილად შეიცვალა, რითაც მისი აუთენტურობა შეუქცევადად დაზიანდა და რომ მას წვლილი ვეღარ შეაქვს იმ კრიტერიუმის დასაბუთებაში, რომლის გამოც ძეგლი იქნა შეტანილი ნუსხაში;

პუნქტი 5. სთხოვს სახელმწიფო მხარეს 2014 წლის 1 თებერვლამდე წარადგინოს საზღვრების მნიშვნელოვანი ცვლილების განაცხადი, რათა გელათის მონასტერს მიეცეს კრიტერიუმის დამოუკიდებლად დასაბუთების შესაძლებლობა;

მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრისა და მრჩეველი ორგანოების მიერ მომზადებულ დოკუმენტში, რომელიც გადაწყვეტილების კონტექსტს წარმოადგენს, გამოთქმულია უარყოფითი შეფასებები ბაგრატის ტაძრის აღდგენასთან დაკავშირებით, და აქვე მითითებულია, რომ „...მთლიანობაში მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრი და მრჩეველი ორგანოები მიიჩნევენ, რომ სახელმწიფო მხარემ მნიშვნელოვანი პროგრესს მიაღწია გამოსასწორებელი ღონისძიებების აღსრულებაში გელათის მონასტერთან მიმართებით.“

<u>2014 წელი:</u>

გადაწყვეტილება: 38 COM 7A.16

პუნქტი 3. მიესალმება გელათის მონასტრის საკონსერვაციო პროგრამის განხორციელების პროგრესს;

მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრისა და მრჩეველი ორგანოების მიერ მომზადებულ დოკუმენტში, რომელიც გადაწყვეტილების კონტექსტს წარმოადგენს, მითითებულია, რომ სახელმწიფო მხარის მიერ წარდგენილ საკონსერვაციო მდგომარეობის ანგარიშში რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად აღნიშნულია გელათის მონასტრის მთავარი ტაძრის საკონსერვაციო პროექტი, „...მათ შორის გუმბათის რესტავრაცია, გუმბათისა და მკლავების (transepts) გადახურვები და ქვის კონსერვაცია...“

<u>2015 წელი:</u>

გადაწყვეტილება: 39 COM 7A.40

პუნქტი 3. მიესალმება გელათის მონასტრის საკონსერვაციო პროგრამის განხორციელების პროგრესს;

2015 წელს სახელმწიფო მხარის მიერ მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრში განსახილველად წარდგენილი იყო განახლებული კონსერვაციის გენერალური გეგმა, რომელსაც უნდა ეპასუხა იმ ახალი გამოწვევებისათვის, რაც იმ დროისთვის დადგა დღის წესრიგში.
უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრისა და მისი მრჩეველი ორგანოს მხრიდან, გელათის საკონსერვაციო-სარეაბილიტაციო პროგრამის ფარგლებში დასმული შეკითხვები ძირითადად ეხებოდა იმ საორჭოფოდ მიჩნეულ საკითხებს, რომლის გადასაწყვეტად საჭიროდ იქნა მიჩნეული დამატებითი სიღრმისეული შეფასება:
ასეთი იყო ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის გუმბათის ყელის გამაგრებისა და გუმბათის გადახურვის საკითხი, რაზედაც, 2015 წელს მსოფლიო ბანკისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწვეულ იქნა იკომოსის და კერძო ექსპერტის საკონსულტაციო მისია.
***<u>2015 წლის 21-25 იანვრის იკომოსის/მსოფლიო ბანკის ერთობლივი საკონსულტაციო მისიის ანგარიშში</u>** დადებითად არის შეფასებული გელათის მონასტრის ღვთისმშობლის შობის სახელობის მთავარი ტაძრის არქიტექტურული რეაბილიტაცია“ პროექტის ფარგლებში მიმდინარე სამუშაოები. ანგარიშის მიხედვით წარმოებული სარესტავრაციო სამუშაოები, რომელიც გუმბათის ყელის ქვის ლავგარდანზე სრულდება „ფრთხილია და სისტემური.“*
ამასთანავე ანგარიშში აღინიშნა რეკომენდაციები გუმბათზე დამატებითი კვლევების ჩატარების შესახებ და კვლევებზე დაყრდნობით დამატებითი სარტყლის პროექტის შემუშავების შესახებ, ისევე როგორც, სპეციალური მოწყობილობების განთავსების შესახებ,

რომლებიც მუდმივად დააფიქსირებენ ინფორმაციას გუმბათის სტრუქტურაში მიმდინარე ცვლილებებზე.

*აღნიშნული მისიის შედეგების საპასუხოდ, სახელმწიფო მხარემ წარადგინა ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის გუმბათის ყელის გამაგრების კონკრეტული წინადადება, რასაც **სრულად დაეთანხმა** საერთაშორისო იკომოსი 2015 წლის დეკემბრის საპასუხო წერილით.*

2016 წელი:

გადაწყვეტილება 40 COM 7A.28

პუნქტი 3. მიესალმება სახელმწიფო მხარის პროგრესს გამოსასწორებელი ღონისძიებების აღსრულებაში გელათის მონასტერთან, [მსოფლიო მემკვიდრეობის] ძეგლის ერთ კომპონენტთან მიმართებით;

2017 წელი:

გადაწყვეტილება 41 COM 8B.31

2017 წელს, მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტმა განიხილა სახელმწიფო მხარის მიერ 2013 წლის 37 COM 7A.32 გადაწყვეტილების შესაბამისად წარდგენილი საზღვრების მნიშვნელოვანი ცვლილების განაცხადი, და მიიღო გელათის მონასტრის მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში დამოუკიდებელ ძეგლად შეყვანასთან დაკავშირებით.

მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრისა და მრჩეველი ორგანოების მიერ მომზადებულ შეფასებით დოკუმენტში, რომელიც გადაწყვეტილების კონტექსტს წარმოადგენს, აღნიშნულია:

„კონსერვაცია
2009 წლის შემდეგ სამუშაოები მიმდინარეობს 2008 წლის კონსერვაციის გენერალური გეგმის შესაბამისად (იხილეთ მართვა).
ძირითადი სტრუქტურების კონსერვაცია
ძირითადი სტრუქტურების კონსერვაცია მოიცავს შემდეგს: მონასტრის თითოეული ძირითადი შენობის და მისი პერიმეტრის გალავნის რეაბილიტაცია; მონასტრის კომპლექსისა და მისი გარემომცველი ტერიტორიის არქეოლოგიური შესწავლა; შენობის დაზიანებული ქვების კონსერვაცია და გამაგრება; კედლის მხატვრობისა და მოზაიკის კონსერვაცია; დრენაჟის სისტემის მოწყობა. სამხრეთ და აღმოსავლეთ კარიბჭეების, სამრეკლოს და წმ. ნიკოლოზის ეკლესიის სტრუქტურების კონსერვაცია დასრულებულია. მიმდინარე სამუშაოები მოიცავს შემდეგს: ეკლესიების ლავგარდნები (სახურავის კიდეები, რომლებიც სცდება კედელს) მზადდება სახურავის რეკონსტრუქციისთვის. დროებითი

სახურავის საფარები ჩანაცვლდება მოჭიქული ღარიანი კრამიტით, რომლის ფრაგმენტები აღმოჩენილი იქნა არქეოლოგიური გათხრების დროს. ამ მომენტისთვის სამრეკლოს გუმბათი და წმ. ნიკოლოზისა და წმ. გიორგის ეკლესიების გუმბათები გადახურულია მოჭიქული კრამიტით. მიმდინარეობს ქვის კონსერვაციის სამუშაოები. სამუშაო ეფუძნება „მინიმალური ინტერვენციის“ პრინციპებს, და შემოიფარგლება გაწმენდით, კირის დუღაბის შევსებით ცარიელ ადგილებში, იშვიათ შემთხვევებში ჩამოვარდნილი ქვების ჩადებით, დაზიანებული ლოდების შეკეთებითა და მობათქაშებით.

ასევე მიმდინარეობს კედლის მხატვრობის კონსერვაციის სამუშაოები. ღვთისმშობლის შობის ტაძრის მთავარი გუმბათი ახლო წარსულში გამაგრდა ფოლადის სალტითა და კირის დუღაბით. 2015 წლის იანვარში ობიექტს ეწვია ICOMOS - მსოფლიო ბანკის ერთობლივი მისია ამ ინტერვენციის ეფექტიანობის შეფასებისა და მონიტორინგისა და კონსერვაციის მიდგომებთან დაკავშირებით რეკომენდაციების წარმოდგენის მიზნით.

მისიამ დაასკვნა, რომ ეკლესიის საყრდენი სტრუქტურა - ფუნდამენტი (ცოკოლი), კრეპიდომა (მრავალ საფეხურიანი პლატფორმა), კედლები, თაღები - ძირითადად დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია და არ საჭიროებს მნიშვნელოვანი ხასიათის სტრუქტურულ ჩარევას. მიუხედავად ამისა, მისიამ წარმოადგინა რეკომენდაცია დამატებითი კვლევისა და მოდელირების, ასევე უწყვეტი მონიტორინგის სისტემის დანერგვის შესახებ.

<u>ICOMOS-ი აღნიშნავს, რომ ინტერიერის მხატვრობა მთავარ ტაძარში, ასევე წმ. გიორგის ეკლესიაში შეშფოთების საგანს წარმოადგენს. მათი კონსერვაციის ცუდი მდგომარეობა ძირითადად გამოწვეული იყო წარსულში სახურავებიდან და ზედა ფანჯრებიდან წყლის შეღწევით, რაც ამჟამად შეჩერებულია, ასევე კონდენსაციის ზემოქმედებით. ამჟამად ხორციელდება მხოლოდ სასწრაფო ღონისძიებები და ეს ღონისძიებები ტარდება მაღალი პროფესიონალური სტანდარტების შესაბამისად.</u>

უმნიშვნელო საკითხი, რომელიც მაინც მნიშვნელოვანია გრძელვადიანი კონსერვაციისთვის არის ისეთი სერვისების ექსპლუატაცია, როგორიცაა ისტორიული წყლის სისტემა ასევე დრენაჟის, ელექტროობის, წნევის ქვეშ წყლის, კანალიზაციის, გათბობა-ვენტილაციის, ინტერიერისა და გარე განათების და უსაფრთხოების სისტემები. ზოგიერთი მათგანი გასული წლების განმავლობაში მოეწყო, ამასთან, ზოგიერთი სხვა სისტემის მოწყობა შეჩერებულია ადექვატური დაფინანსების მოლოდინში. ჯერ კიდევ არ არის უზრუნველყოფილი ადექვატური რესურსები გრძელვადიანი პროგრამებისთვის, რომლებიც ეხება მონასტრის სტრუქტურისა და მისი კედლის მხატვრობის რესტავრაციას. ასევე არ ყოფილა წარმოდგენილი დეტალური ინფორმაცია, მოხდა თუ არა დოკუმენტაციის წარმოების ნათელი სისტემის დანერგვა კონსერვაციისა და რესტავრაციის ყველა ღონისძიებისთვის და მოხდა თუ არა სამ-განზომილებიანი გაზომვისა და მონიტორინგის სისტემის დანერგვა, რაც ხელს შეუწყობს მონასტრის სხვადასხვა შენობის საერთო სტაბილობის უკეთ დადგენას; ორივე ეს ზომა რეკომენდირებული იქნა მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის მიერ.“

დამატებითი ინფორმაცია 2015-2019 წწ-ში განხორციელებულ სამუშაოებთან დაკავშირებით:

გელათის კონსერვაციის გენერალური გეგმის ფარგლებში, და მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრთან და მის მრჩეველ ორგანოებთან შეთანხმებით, 2015 წლიდან დაიწყო საკონსერვაციო-სარესტავრაციო ფიზიკური სამუშაოების ეტაპობრივი წარმოება, კერძოდ: ამერიკის საელჩოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა და 2018 წელს დასრულდა გელათის მონასტრის ღმრთისმშობლის შობის ტაძარის არქიტექტურული სტრუქტურების რესტავრაციის პროექტი, რომელიც მოიცავდა:

- დასავლეთ და ჩრდილოეთ ფასადებზე არსებული კარნიზების და აფრების რეაბილიტაციასა და კონსერვაციას;
- მთავარი ტაძრის გადახურვას;

იმერეთის რეგიონალური განვითარების პროგრამის ფარგლებში და მსოფლიო ბანკის დაფინანსებითა და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მეშვეობით, 2017-2019 წწ-ში განხორციელდა:

- მთავარი ტაძრის ქვის კონსერვაცია
- მონასტრის გარეთ ვიზიტორთა ცენტრის მშენებლობა;
- გელათის ღვთისმშობლის ტაძრის ეკვდერების გადახურვის, ცოკოლის და სადრენაჟე სისტემის რეაბილიტაცია”

მაშინ როდესაც გელათის ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიის საშენი მასალის კონსერვაციის პროექტები წარმატებით განხორციელდა, როგორც მიმდინარე წელს გამოვლენილმა ხარვეზებმა აჩვენა, ტაძრის გადახურვების სარეაბილიტაციო სამუშაოები, სამწუხაროდ ნაწილობრივ პრობლემურად შესრულდა, რომლის გამოსწორების ღონისძიებებზე საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო 2020 წლის მარტის თვიდან აქტიურად მუშაობს.

2021 წელი

გადაწყვეტილება 44 COM 7B.47

მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტი,

1. შეისწავლა რა WHC / 21 / 44.COM / 7B დოკუმენტი,

2. 2. ახსენებს 41 COM 7A.20 და 41 COM 8B.31 გადაწყვეტილებებს, მიღებულს თავის 41-ე სესიაზე (კრაკოვი, 2017),

3. აღნიშნავს ღვთისმშობლის ეკლესიის ახლად მოწყობილი სახურავის სამწუხარო წარუმატებლობას და წმინდა გიორგის ეკლესიაში ტენიანობის შეღწევის გაგრძელებას, რაც ქვის, მოზაიკისა და კედლის მხატვრობის დაზიანებას იწვევს,

4. მიესალმება მონაწილე სახელმწიფოს ქმედებას ღვთისმშობლის ეკლესიაში დროებითი სახურავის მოწყობასთან დაკავშირებით და ეკლესიებში ქვის, კედლის მხატვრობისა და მოზაიკის დაზიანებაზე მონიტორინგსა და ანგარიშგებას და თხოვს მონაწილე სახელმწიფოს დაუყოვნებლივ:

ა) უზრუნველყოს ღვთისმშობლის ეკლესიისა და წმინდა გიორგის ეკლესიის გადახურვასთან დაკავშირებით უფრო ეფექტური გადაწყვეტილება ისე, რომ შესაძლებელი გახდეს კონსერვაციის ღონისძიებების უწყვეტად ჩატარება ტენიანობის შეღწევის საფრთხის გარეშე, და გადაწყვეტილების შესრულებამდე წარუდგინოს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრს საკონსულტაციო ორგანოების მიერ განსახილველად,

ბ) შეიმუშაოს ძეგლის კონსერვაციის ღირებული პროგრამა, მათ შორის ორი ეკლესიის კედლის მხატვრობის, მოზაიკისა და ქვის საკონსერვაციო სამუშაოების მონიტორინგი, კვლევა და განხორციელება და წარუდგინოს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრს საკონსულტაციო ორგანოების მიერ განსახილველად;

5. აგრეთვე სთხოვს მონაწილე სახელმწიფოს :

ა) გააგრძელოს თავისი ძალისხმევა მონიტორინგის ინდიკატორების შესამუშავებლად კონსერვაციის იმ ატრიბუტების მდგომარეობის მონიტორინგისათვის, რომლებიც გამოხატავს ძეგლის OUV (გამორჩეული უნივერსალურ ღირებულებას),

ბ) განავრცოს სამგანზომილებიანი სტრუქტურული მონიტორინგი წმინდა გიორგის ეკლესიაზე და კომპლექსში შემავალ სხვა მნიშვნელოვან სტრუქტურებზე,

გ) თავის შემდგომ ანგარიშში ამ ობიექტის კონსერვაციის მდგომარეობაზე წარმოადგინოს ანგარიში საქართველოს მსოფლიო მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს საქმიანობებზე კომიტეტის მოთხოვნასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება საკოორდინაციო კომიტეტის შექმნას;

6. შემდეგ სთხოვს მონაწილე სახელმწიფოს განიხილოს და განაახლოს ძეგლის მართვის გეგმა და წარუდგინოს იგი მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრს საკონსულტაციო ორგანოების მიერ განსახილველად და შექმნას მმართველი კომიტეტი მისი

განხორციელების მიზნით, მონაწილე სახელმწიფოს კვლავ უმეორებს მოთხოვნას დანერგოს მექანიზმი, რომელიც საშუალებას მისცემს მართვის გეგმას ან მის ნაწილს იქონიოს სტატუსი დაგეგმვის პროცესებში;

7. ითხოვს საერთაშორისო საზოგადოების გაძლიერებულ მობილიზებას მონაწილე სახელმწიფოსთვის მეტი ფინანსური და ტექნიკური დახმარების უზრუნველსაყოფად, მათ შორის მსოფლიო მემკვიდრეობის ფონდის - "კონსერვაცია და მენეჯმენტი" - საერთაშორისო დახმარების თხოვნით მოკლე და შუალედური ღონისძიებების განსახორციელებლად ძეგლის კონსერვაციის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით;

8. და ბოლოს, სთხოვს მონაწილე სახელმწიფოს 2022 წლის 1 თებერვლამდე წარუდგინოს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრს განახლებული ანგარიში ძეგლის კონსერვაციის მდგომარეობისა და ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტების განხორციელების შესახებ მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის მიერ განსახილველად 2022 წლის 45-ე სესიაზე.

მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრისა და მრჩეველი ორგანოების მიერ მომზადებულ შეფასებით დოკუმენტში, რომელიც გადაწყვეტილების კონტექსტს წარმოადგენს, აღნიშნულია:

კონსერვაციის მიმდინარე პრობლემები:
2019 წლის 29 ნოემბერს მონაწილე სახელმწიფომ წარადგინა ანგარიში კონსერვაციის მდგომარეობის შესახებ, რომლის რეზიუმეც შეგიძლიათ იხილოთ: http://whc.unesco.org/en/list/710/documents/. იგი იძლევა ინფორმაციას მონაწილე სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 41-ე სესიაზე მიღებული გადაწყვეტილების საპასუხოდ (კრაკოვი, 2017), როგორც ნაჩვენებია ქვემოთ:

- *დადგენილია წლიური ბიუჯეტი გრძელვადიანი შენარჩუნების პროგრამებისთვის;*
- *დასრულებულია სარესტავრაციო და სტაბილიზაციის სამუშაოები;*
- *დაწყებულია ღვთისმშობლის ეკლესიის სტრუქტურული მდგრადობის უწყვეტი ციფრული მონიტორინგი;*
- *მიღებულია გადაწყვეტილება, რომ ბერების განთავსება გაგრძელდება ობიექტზე არსებულ საცხოვრებელ სახლში;*
- *საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა მართვის გეოსაინფორმაციო სისტემა და GIS პორტალი ღიაა საზოგადოებისთვის;*
- *საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს (NACHP) კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს ფარგლებში დამყარდა მონაწილეობითი პროცესი*
- *მთავრობის განკარგულების საფუძველზე შეიქმნა საქართველოს მსოფლიო მემკვიდრეობის დაცვის საბჭო, რომელიც მოიცავს დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლობას;*
- *2017-2021 წლების მენეჯმენტის გეგმით გათვალისწინებული მართვის კომიტეტი არ არის შექმნილი;*

- *მონაწილე სახელმწიფო ეძებს დახმარებას მონიტორინგის ინდიკატორების შემუშავებაში.*

2020 წლის 4 სექტემბერს მონაწილე სახელმწიფომ მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრს აცნობა, რომ ღვთისმშობლის ეკლესიის ახლად მოწყობილი კრამიტის გადახურვა დაზიანდა, რამაც გამოიწვია წვიმის წყლით დაზიანება, რამაც გავლენა მოახდინა კედლის მხატვრობაზე, მოზაიკასა და ქვის საფუძველზე. ასევე აღინიშნა წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში ტენიანობასთან დაკავშირებული მუდმივი პრობლემები. გადადგმული გამოსასწორებელი ნაბიჯები მოიცავდა შემდეგს:

- *კედლის მხატვრობისა და მოზაიკის მონიტორინგისა და ანგარიშგების პროგრამა;*
- *დროებითად, თუნუქის ფირფიტების დამონტაჟება უშუალოდ ღვთისმშობლის ეკლესიის არსებულ სახურავზე.*

მონაწილე სახელმწიფომ დახმარება ითხოვა მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრისა და საკონსულტაციო კომიტეტისაგან ამ საკითხის სასწრაფოდ გადასაჭრელად. მან მიაწოდა დამატებითი ინფორმაცია, მათ შორის წინადადება ღვთისმშობლის ეკლესიაზე დროებითი გადახურვის მოწყობის თაობაზე, რომელზეც ტექნიკური მიმოხილვა წარმოადგინა ICOMOS- მა.

მონაწილე სახელმწიფომ წარმოადგინა დამატებითი დოკუმენტაცია, რომელშიც აღწერილია ICOMOS– ის ტექნიკური მიმოხილვის საპასუხო ქმედებები. 2021 წლის 1 აპრილს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრთან და საკონსულტაციო ორგანოებთან ონლაინ შეხვედრის შემდეგ, მონაწილე სახელმწიფომ ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა სპეციფიკური ექსპერტიზა სამომავლო გადაუდებელი ღონისძიებების განხორციელებისთვის და შესთავაზა თანამშრომლობის მეთოდოლოგიური დახმარების ჩარჩო.

მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის, ICOMOS და ICCROM (კულტურულ ფასეულობათა დაცვისა და რესტავრაციის კვლევის საერთაშორისო ცენტრი) - ის ანალიზი და დასკვნები

მონაწილე სახელმწიფომ წამოიწყო მრავალი დადებითი ღონისძიება კომიტეტის წინა გადაწყვეტილებების გადასაჭრელად, რაც მიზნად ისახავდა ძეგლის მართვის სისტემის აღსრულებას, მათ შორის მის მონიტორინგს. სამწუხაროდ, განხორციელებული საკონსერვაციო ქმედებებიდან ყველა წარმატებული არ აღმოჩნდა. ღვთისმშობლის ეკლესიაში ახლახანს მოწყობილი კრამიტის გადახურვების წარუმატებლობამ და წმინდა გიორგის ეკლესიაში ტენიანობის მუდმივმა პრობლემამ გამოიწვია ორივე ეკლესიის კედლის მხატვრობისა და მოზაიკის დაზიანება, რაც უარყოფით გავლენას ახდენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის OUV (გამორჩეული უნივერსალური ღირებულება)-ზე. ამიტომ ამ პრობლემების მოსაგვარებლად მისასალმებელია მონაწილე სახელმწიფოს თანამშრომლობა მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრთან და საკონსულტაციო ორგანოებთან.

მონაწილე სახელმწიფოს მიერ გატარებული ქმედება ღვთისმშობლის ეკლესიის გადახურვაზე დროებითი სახურავის მოწყობასთან დაკავშირებით მისასალმებელია, მაგრამ საჭიროა ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც შესაძლებელს გახდის გადახურვებზე არსებული პრობლემების გამოსწორებას ეკლესიის დაცვის პარალელურად. მონაწილე სახელმწიფომ მოამზადა წინადადებები ეკლესიის გადახურვის გასაუმჯობესებლად. აღნიშნული განხილული იყო ICOMOS– ის მიერ, [illegible] თანახმად, წმინდა გიორგის

ეკლესია სასწრაფოდ უნდა იყოს გადახურული ისე, რომ ნაგებობა დაცული იყოს წვიმისა და თოვლისაგან და ამავდროულად მისცემს საკონსერვაციო სამუშაოების გაგრძელების შესაძლებლობას.

ეს პრობლემები ამძაფრებს ამ ძეგლის მყიფე მდგომარეობას. სამწუხაროა, რომ ეს ვითარება გაჩნდა მას შემდეგ, რაც ეს ძეგლი 2017 წელს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის საფრთხეში მყოფ ძეგლთა ნუსხიდან ამოიღეს (გადაწყვეტილება 41 COM 7A.20). კომიტეტის 2017 წლის გადაწყვეტილების ზოგიერთი მოთხოვნა, რომლებიც ეხება ობიექტის საზღვრის მნიშვნელოვან შეცვლას (41 COM 8B.31), ჯერ კიდევ პასუხგაუცემელი რჩება, და რომელთა განხორციელებაც გვთავაზობს მექანიზმებს ასევე ახალი პრობლემების გადასაჭრელად. ეს მოიცავს კონსერვაციის დოკუმენტაციის სისტემის დანერგვის მოთხოვნას. ამიტომ რეკომენდებულია, რომ კომიტეტმა მონაწილე სახელმწიფოს მოსთხოვოს დაუყოვნებლივ შეიმუშაოს კონსერვაციის ღირებული პროგრამა, რომელიც მოიცავს ძეგლის მონიტორინგს, კვლევასა და განხორციელებას, ორი ეკლესიის ყველა კედლის მხატვრობის, მოზაიკისა და ქვის ჩათვლით და წარუდგინოს იგი მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრს საკონსულტაციო ორგანოების მიერ განსახილველად. კომიტეტმა შესაძლოა მოუწოდოს საერთაშორისო საზოგადოებას ტექნიკური და ფინანსური დახმარება გაუწიოს მონაწილე სახელმწიფოს ამ ძეგლის დასაცავად დამტკიცებული საკონსერვაციო გეგმის შესაბამისად.

საჭიროა დამატებითი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ მონიტორინგის რომელი ინდიკატორებია გამოყენებული OUV ატრიბუტების მონიტორინგისთვის. სამგანზომილებიანი სტრუქტურული მონიტორინგის სისტემა, რომელიც უკვე გამოიყენება ღვთისმშობლის ეკლესიაში, უნდა გავრცელდეს წმინდა გიორგის ეკლესიაზე და კომპლექსში შემავალ სხვა მნიშვნელოვან ნაგებობებზე.

საქართველოს მსოფლიო მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დაარსება მისასალმებელია. ამასთან, გაუგებარი რჩება, თუ და როგორ იმოქმედებს ეს საბჭო, როგორც საკოორდინაციო კომიტეტი ამ ძეგლისთვის, როგორც ამას კომიტეტი ითხოვს (41 COM 8B.31). მისასალმებელი იქნებოდა ამ საბჭოს საქმიანობების განახლება ამ ძეგლის არსებული საკონსერვაციო გამოწვევების გადასაჭრელად. მონაწილე სახელმწიფომ არ განმარტა, მიენიჭა თუ არა 2017-2021 წლებზე გათვლილ მართვის გეგმას ოფიციალური სტატუსი დაგეგმვის პროცესებში. ასევე შემაშფოთებელია, რომ მართვის გეგმით გათვალისწინებული მართვის კომიტეტი ჯერ არ არის შექმნილი. საჭიროა ამ გეგმის გადახედვა და განახლება.

https://whc.unesco.org/en/decisions/7764